ახალი ხარაგაული

№325 (17), 21 ივლისი, 2016 წ.

„ქართულმა ოცნებამ" ხარაგაულსა და ბაღდათში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი დაასახელა



„ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ" საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. პარტიის თავმჯდომარემ, გიორგი კვირიკაშვილმა, 18 ივლისს ქუთაისში იმერეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.

„ჩვენ საარჩევნო კამპანიას ქუთაისიდან ვიწყებთ, - მეგობრობის, სიყვარულის, პოეზიის ქალაქიდან, დავით აღმაშენებლის ქალაქიდან, რომელიც ერთიანი საქართველოს სიმბოლოა ყველა ქართველისთვის. აქედან მინდა, მივესალმო მთელ საქართველოს და ვუთხრა, რომ სწორედ გამთლიანებული და ძლიერი საქართველოა თითოეული ჩვენგანის მიზანი და ოცნება. ჩვენი პარტიის მიზანი და ამოცანაც სწორედ ეს არის. 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ" ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით და თქვენი მხარდაჭერით, შეუპოვარი ბრძოლით გაიმარჯვა არჩევნებში. ამ გამარჯვებამ გარდამტეხი როლი შეასრულა და საქართველო განვითარების სწორ გზაზე გაიყვანა. ამ 4 წელიწადში ჩვენ ძალ-ღონე არ დაგვიშურებია და ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის მდგომარეობა ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესობისკენ შეგვეცვალა. ჩვენ მივეცით ხალხს ის, რაც ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია - თავისუფლება!", - ამ სიტყვებით მიმართა გიორგი კვირიკაშვილმა "ქართული ოცნების" მხარდამჭერებს.

პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლების მიზანია თითოეული მოქალაქის, მათი ოჯახების კეთილდღეობა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „ქართულ ოცნებას" არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ვინმესთვის თვალის ასახვევად, ერთჯერადი ეფექტის მისაღებად და მოჩვენებითი სიკეთის შესაქმნელად.

გიორგი კვირიკაშვილმა ჯანდაცვის სფეროსა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მთავრობის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან პროგრამებზე ისაუბრა. მათ შორის C ჰეპატიტის პროგრამაზე, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ქუთაისში შეკრებილ საზოგადოებას განუცხადა, „ქართულმა ოცნებამ" რეალურად გაათავისუფლა არა მხოლოდ ბიზნესი, არამედ ხელისუფლების ჩარევისგან გაათავისუფლა მედია, სასამართლო, პოლიცია. დღეს კი საკუთრების უფლება დაცული და ხელშეუხებელია, ხოლო ამ წარმატებას აღიარებს ყველა - საერთაშორისო ორგანიზაციები, თუ პარტნიორი ქვეყნები.

პრემიერ-მინისტრმა ქუთაისში შეკრებილ საზოგადოებას ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ოთხპუნქტიანი რეფორმის გეგმაზე მიაწოდა ინფორმაცია და ამ კონტექსტში ახალი ბიზნესიდეების, განათლების სისტემის რეფორმირების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, „ქართული ოცნება" დასავლური ღირებულებების ერთგულია, მტკიცედ ადგას ევროპულ გზას და არ დაუშვებს ამ გზიდან გადახვევას.

პრემიერის განცხადებით, „ქართული ოცნებისთვის" საქართველოს გამთლიანება აფხაზ და ოს ძმებთან შერიგებით იწყება და ეს გუნდი მზად არის, გაუნაწილოს ჩვენს ძმებს ყველა სიკეთე.

ბალახვანში, "ასსაფეხურიან კიბეებთან" შეკრებილ ამომჩეველს სიტყვით მიმართა ასევე ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

მისი თქმით, „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ ქართველ ხალხთან ერთად ქვეყანა სწორი განვითარების გზაზე დააყენა, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო მშვიდ და სტაბილურ ქვეყნად წარმოაჩინა.

„ავახდინეთ დიდ წინაპართა ოცნება და რეალურად შევაღეთ ევროპის კარი! შევქმენით ახალი შესაძლებლობების ეკონომიკა! პოლიტიკისგან გავათავისუფლეთ პოლიცია, სასამართლო, ჯარი! დავიწყეთ სოფლის ფეხზე დაყენება! გადავარჩინეთ უამრავი სიცოცხლე! ვამარცხებთ „21-ე საუკუნის ჭირად" წოდებულ C-ჰეპატიტს! ათასობით დევნილს საკუთარი ჭერი მივეცით! გავათავისუფლეთ ბიზნესი და დავიცავით კერძო საკუთრება! ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, განვითარების რეალური შესაძლებლობები მივეცით!",-აღნიშნა პარტიის გენერალურმა მდივანმა.

კახა კალაძის თქმით, „ქართული ოცნება" მტკიცე პოლიტიკური გუნდია, მკაფიო მიზნებით, სწორი სტრატეგიითა და ძლიერი ლიდერით.

შეგახსენებთ, რომ კალაძე ქუთაისს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ერთად ეწვია, რომელმაც „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა იმერეთიდან დაიწყო. „ქართულ ოცნებას" იმერეთში მაჟორიტარობის 11 კანდიდატი ჰყავს. ქუთაისში მაჟორიტარობისათვის სამი კანდიდატი იბრძოლებს. N47-ე ოლქში ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დირექტორი, გენადი მარგველაშვილი, N 48 ოლქში ექიმი დიმიტრი მხეიძე, ხოლო N49 ოლქში სამრათალმცდონეობის და ეკონომიკის მაგისტრი, ყოფილი შსს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი;

მმართველმა გუნდმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებად ხარაგაულსა და ბაღდათში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, წყალტუბოში იურისტი, იმერეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ცოტნე ზურაბიანი, ჭიათურაში-ჭათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი სულხან მახათაძე, სამტრედიაში- ბიზნესმენი გიორგი მიქელაძე, ზესტაფონში - „ქართული ოცნების" წევრი შალვა კიკნაველიძე, საჩხერეში- პარლამენტის წევრი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე პაატა კვიჟინაძე, ვანსა და ხონში საერთაშორისო ეკონომკური ურთიერთობების მაგისტრი, თბილისის მერის მოადგილე გრიგოლ ლილუაშვილი, თერჯოლასა და ტყიბულში კი მედიცინის დოქტორი, ჩაჩავას კლინიკის გენერალური დირექტორი ელგუჯა გოცირიძე დაასახელა.

გიორგი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ ყველა კანდიდატი ღირსეულად წარმოადგენს „ქართული ოცნების" გუნდს და თითოეული ადამიანის ინტერესების ერთგული დამცველი იქნება პარლამენტში.

პრემიერ-მინისტრმა ბაღდათი-ხარაგაულის ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მოსახლეობას წარუდგინა

20 ივლისს ხარაგაულს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშილი სტუმრობდა. პრემიერ-მინისტრმა ბაღდათი-ხარაგაულის ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მოსახლეობას წარუდგინა.

პრემიერის თქმით, ლურსმანაშვილი საქართველოს პარლამენტში ხალხის ხმამაღალი ხმა იქნება.

"კობა გახლავთ აქაური კაცი, მან ყველაზე კარგად იცის თქვენი ტკივილი, სიხარული და ის იქნება თქვენი ყველაზე კარგი, ხმამაღალი ხმა საქართველოს პარლამენტში. ეს არის კაცი, რომელიც ახლოს არის ყველა თქვენგანთან და მეორე მხრივ, მას გააჩნია ის კვალიფიკაცია, რომელიც პარლამენტში მუშაობისთვისაა საჭირო. ის ნამდვილად იდეალური კანდიდატია იმისთვის, რომ ხარაგაულელების ხმა მიიტანოს საქართველოს პარლამენტში. მინდა ყველა თქვენგანი დავარწმუნო, რომ ჩვენთვის თითოეული ადამიანი ყველაზე მნიშვნელოვანია. მისი ტკივილი, მისი სიხარული. ჩვენ ვართ ადამიანური სახის მქონე ხელისუფლება. ბოლო 4 წლის განმავლობაში, ყველაზე მთავარი რაც შევძელით ეს იყო, რომ თავისუფლება მივეცით თითოეულ ადამიანს. მოვსპეთ ხელისუფლების შიში, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში მუდმივად პრობლემა იყო. ახლა ჩვენ გვაქვს ახალი, ძალიან ამბიციური, სწრაფი განვითარების გეგმები იმისთვის, რომ ეს თავისუფლება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ თქვენთან ერთად გარდავქმნათ თითოეული ქართული ოჯახის კეთილდღეობაში. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა",-განაცხადა პრემიერმა.

ხარაგაულში კობა ლურსმანაშვილის წარდგენას "ქართული ოცნების" გენერალური მდივანი კახა კალაძე, ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე და "ქართული ოცნების" წევრი სოფო კილაძე დაესწრნენ.

გაზიფიცირების საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგებელი ჯაფაროულის მოსახლეობას შეხვდა

12 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, დავით დევდარიანი, საღანძილის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე და გამგებლის წარმომადგენელი საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში კობა ყრუაშვილი, სოფელ ჯაფაროულის მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი გაზიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები გახლდათ. 85 პოტენციური გაზის აბონენტი გაზიფიცირების სამუშაოების დაწყებას და ქსელში ჩართვას ელოდება. გავრცელდა ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა გაზიფიცირება მხოლოდ ბაზალეთში დაიწყო და ამ ეტაპზე ჯაფაროულის დაქსელვა არ მოხდება.

როგორც შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, განმარტა ბაზალეთში, ჯაფაროულში, ჩხერში, ახალსოფელსა და თეთრაწყაროში ბუნებრივი აირი ერთდროულად შევა. „ამჯერად ოთხ სოფელში მიმდინარეობს დაქსელვითი სამუშაოები, შემდეგ ეტაპზე პირველი, სადაც გაზიფიცირების სამუშაობი დაიწყება, ჯაფაროული იქნება. პირადად ვესაუბრე საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძეს და საკითხი გადაწყვეტის ფაზაშია. აქ არის ტექნიკური პრობლემები. არსებული გაზის ძველი მაგისტრალი უნდა გადავიდეს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ან უნდა მოხდეს ახალი მაგისტრალის გაყვანა. საკითხის მოგვარებაში ჩართულია „სოკარჯორჯია გაზი". ჩვენ უკვე დაგვიკავშირდა სოკარის ვიცე - პრეზიდენტი მამუკა მეტრეველი, რომელმაც აღნიშნა, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ გამოხატა საკუთარი პოზიცია ხარაგაულში გაზიფიცირების შემდეგ ეტაპთან დაკავშირებით. შესაბამისად, სოკარმა გაზიფიცირების თემის შესწავლა აქტიურად დაიწყო" - დასძინა კობა ლურსმანაშვილმა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა ყურადღება, იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ ჯაფაროულის გაზიფიცირებაზე ჯერ კიდევ გასულ წლებში შესაბამის უწყებებს წერილით მიმართა. წერილში ვკითხულობთ, რომ „აღნიშნული სოფელი გასულ წლებში, დაბის ტერიტორიაზე იყო მიბმული, რომლის მოსახლეობაც ბუნებრივი აირით სარგებლობდა. რადგან დღეს ჯაფაროული საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის, იგი ვერ მოხვდა დადგენილების რეგულაციაში. მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ მოსახლეობის თხოვნა და ჯაფაროული შეტანილ იქნეს სემეკის დადგენილების 400 ლარიან რეგულაციაში და 2015 წელს მოხდეს მისი გაზიფიცირება."

კობა ლურსმანაშვილი დარწმუნებულია, რომ ჯაფაროულშიც იგივე ტემპით წავა გაზიფიცირება, როგორც ეს სხვა სოფლებში მიდის. მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარე წელს, ასევე ლაშესა და კიცხში დაიწყება.

მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტი 92%-ით შესრულდა

18 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ იმსჯელეს.

ინფორმაცია ბიუროს წევრებს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი, შემოსულობების ნაწილში, განისაზღვრა 4 210 100 ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 3 868 900 ლარის შემოსულობები. ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 92,0 პროცენტით, წლიურის - 43,7 პროცენტით, (წლიური გეგმა 9 231 600 ლარი, რაც გასული 2015 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 220 900 ლარით აღემატება (2015 წლის ექვს თვეში მიღებულია 3 648 000 ლარის შემოსულობები).

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ვარლამ ჭიპაშვილი: „აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ზაზა გლუნჩაძის დედა სამსახურიდან იძულებით არავის გაუთავისუფლებია"

სულ რამდენიმე ხნის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ზაზა გლუნჩაძის დედა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, სამსახურიდან გაათავისუფლა. აღნიშნულ ინფორმაციას ხარაგაულს მუნიციპალიტეტის საკრებულოს-საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი აბსურდულს უწოდებს და სტატიის ავტორებს ფეისბუქის პირად გვერდზე ეხმიანება.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

გვერდი მოამზადა **ეკა შავიძემ**

მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტი 92%-ით შესრულდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

როგორც სხდომაზე ვლადიმერ გელაშვილმა განაცხადა, ბიუჯეტის წლიური გეგმა აუცილებლად შესრულდება და იმედს გამოთქვამს გადაჭარბებითაც.

ბიუროს სხდომაზე ასევე მოისმინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც ბიუროს წევრებს კომისიის თავმჯდომარემ, შალვა ლურსმანაშვილმა გააცნო.

აღნიშნული საკითხების შესახებ დეპუტატები უფრო ვრცლად 1 აგვისტოს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში იხილეთ ,,ახალი ხარაგაულის“ დღევანდელ ნომერში. გვერდი(3-4).

ვარლამ ჭიპაშვილი: „აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ზაზა გლუნჩაძის დედა სამსახურიდან იძულებით არავის გაუთავისუფლებია“

დასაწყისი პირველ გვერდზე

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე (ხარაგაულის ყოფილი გამგებელი) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, უსაფუძვლოდ სდებს ბრალს. ნაციონალებს ბოღმა ახრჩობთ, როდესაც მათი წარუმატებელი მოღვაწეობის შემდეგ დღეს ხარაგაულისა და მისი გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, წარმატებების მომსწრენი გახდნენ. აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ზაზა გლუნჩაძის დედა სამსახურიდან იძულებით არავის გაუთავისუფლებია. ქალბატონმა მარინამ ბატონი კობას გამგებლობის დროს არც თუ ცოტა ხანს იმუშავა, მაგრამ მისი საჯარო სამსახურიდან წასვლის მიზეზი გახლდათ ობიექტური გარემოება, რომელიც თქვენ გსურთ სუბიექტურ გარემოებად აქციოთ და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოთ. ქალბატონ მარინას საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია, საკუთარი სურვილისამებრ, საჯარო მოხელეთათვის კონკურსის გავლა კი სავალდებულოა. დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულება ვადის გასვლის გამო შეუწყდა 2014 წლის ბოლოს, ხოლო თქვენ ამ საკითხზე თითქმის 2 წლის შემდეგ - წინასაარჩევნოდ საუბრობთ და თანაც თქვენივე ყალბი სტილით, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით... სად იყავით აქამდე, თუ რეალური იყო ეს თემა, თუ არგუმენტები გაგაჩნდათ?! რაღაც ამ საკითხზე არ გამიგონია ხმამაღალი განცხადებები თქვენი მხრიდან. ისევ ის პერიოდი გგონიათ, თქვენს ჭკუაზე რომ განაგებდით ყველაფერს და ადამიანის ძირითად უფლებებს ლახავდით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების დიდოსტატი გამგებელი სწორედ თქვენ გახლდით ბატონო თორნიკე. თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ,რომ თქვენ იყავით ის გამგებელი,რომელიც აშინებდით საჯარო მოხელეებს. იძულებულს ხდიდით, სამსახური დაეტოვებინათ მათ, ვინც თქვენ არ გეპიტნავებოდათ თვალში და თქვენს პოლიტიკურ მრწამსს არ იზიარებდა.. დავიწყოთ ჩამოთვლა? შორს წაგვიყვანს, სამწუხაროდ... ქალბატონი იზა ვეფხვაძეც კმარა მაგალითისთვის. თქვენი მოღვაწეობა გამოძახილი იყო იმ ძალადობრივი რეჟიმისა,რომლის წარმომადგენელიც იყავით და ახლაც ბრძანდებით. დაგავიწყდათ ის დრო, როცა საჯარო მოხელეებს სთხოვდით არჩევნებზე ბიულეტენისათვის ფოტოები გადაეღოთ, თუ ვის მისცეს ხმა. როდესაც არჩევნების წინა დღეებში პოლიციის წარმომადგენლები აშინებდნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს და სასტიკი დასჯით ემუქრებოდნენ... პედაგოგების პოლიტიკური მრწამსის გაკონტროლებას, რომ ცდილობდით სხვადასხვა ხერხით - იქნებ ის მაინც გაიხსენოთ... ასეთი საშინელი წარსულის შემდეგ როგორ შეიძლება, ისაუბროთ დღევანდელობაზე - კობა ლურსმანაშვილის მოღვაწეობაზე და მის პატრიოტიზმზე.

აგვისტოს ომში ძირითადად თქვენი ბელადების ხუშტურებს და წამოწყებას შეეწირა ვაჟკაცების სიცოცხლე...

დასასრულს, კობა ლურსმანაშვილი ყოველთვის იქ იდგა, სადაც ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა (ცხრა აპრილი, აფხაზეთი, ეროვნული მოძრაობა და სხვა...), ხოლო შენისთანების საქმე პატრიოტ ადამიანებზე ლაფის სროლაა და ცრუპენტელობა....“ - წერს სოციალურ ქსელში ვარლამ ჭიპაშვილი.

აქვე განვმარტავთ, რომ სოფელ ხიდრის მკვიდრ მარინა გლუნჩაძესა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას ვადა 2014 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა. 2014 წლის 31 დეკემბრამდე იგი ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილების შტატგარეშე თანამშრომლად ითვლებოდა.

დასაქმებული თანამდებობიდან გამგებლის N1460 ბრძანების საფუძველზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის 1 და 2 პუნქტების შესაბამისად გათავისუფლდა, რაც პირის შრომითი ხელშკერულების ვადის გასვლას გულისხმობს.

მოგეხსენებათ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად პირი საჯარო სამსახურში თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, გარდა 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გამომდინარე იქიდან, რომ ქალბატონმა მარინა გლუნჩაძემ უარი განაცხადა საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე, მას შრომითი ხელშეკრულება ვეღარ გაუგრძელდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, ხელშეკრულების შეწყვეტიდან დღემდე, ქალბატონ მარინასთან არაერთი შეხვედრა შედგა. იყო ალტერნატიული სამსახურების შეთავაზება, რაზეც თავად ქალბატონი მარინა აცხადებდა უარს. გამგებელი განმარტავს, რომ მარინა გლუნჩაძის დასაქმების საკითხი, მასთან ურთიერთშეთანხმებით, ამჟამადაც განიხილება.

ჯიდევ ერთი აღიარება

სრული ჭეშმარიტებაა, რომ პიროვნების შემფასებელი ორი ჯილდო არსებობს. ერთი, რომელსაც ზენაარი არგუნებს ადამიანს სხვადასხვა უნარ-შესაძლებლობის სახით და, მეორე, ჯილდო, რომელსაც აღიარების, სიყვარულის, ღვაწლის დაფასების შესატყვისად არგუნებენ მას სხვა ადამიანები, საზოგადოება...

ბედნიერია პიროვნება, რომელიც თავისი შემოქმედების დასტურად სიცოცხლეშივე მიიღებს ამ მეორე ჯილდოს.

აღნიშნული ჭეშმარიტების კიდევ ერთხელ გააზრება მთავარ სათქმელთან მისასვლელად დამჭირდა, ძვირფასო მკითხველო!

ამ რამდენიმე დღის წინ, 14 ივლისს, კიდევ ერთხელ წარმოჩინდა შესატყვისი ჯილდო იმ ღვთიური მადლისა, რომელიც განგების ძალით ხარაგაულში ნამდვილად ტრიალებს...

ჩვენ აღარ გვიკვირს ის ჯილდო - რეგალიები, ის აღიარება, რაც ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის რეჟისორმა, სცენარისტმა და მსახიობმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, მოიპოვა. მაგრამ სრულიად განსხვავებულია ის ჯილდო, რომელიც 14 ივლისს მის უმშვენიერეს ბიოგრაფიას შეემატა...

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის, დაბადების დღეს, 14 ივლისს, მის საფლავთან ტრადიციული ცერემონიალის შემდეგ იზა ვეფხვაძე, თავისი დიდი ეროვნული საქმეებიდან გამომდინარე, ჭეშმარიტად დიდმა პატრიოტულმა გაერთიანებამ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა, თავის საპატიო წევრად მიიღო და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი უშუალოდ გადასცა ჩოხოსანთა დასის დარბაზის მეთაურმა, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა გოგი დოლიძემ.

იზა ვეფხვაძე: „დიდი მადლობა ჩოხოსან რაინდთა დასს, ბატონ გოგი დოლიძეს. ჩემთვის დიდი პატივია ამ დასის საპატიო წევრობა, მაგრამ ამასთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაა. მადლობა ჩემს ხარაგაულელებს, რომლებიც დღეს ჩემს სიხარულს იზიარებენ, ჩემს პედაგოგს, მერი გიორგიძეს, რომელიც მუდამ ჩემ გვერდითაა, ხარაგაულელ საოცარ ახალგაზრდებს თავიანთ პედაგოგებთან ერთად და ხარაგაულის ადგილობრივ თვითმმართველობას.

გადაწყვეტილი მაქვს, რომ შევქმნა ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ვაჟკაცური სულის შესატყვისი ლიტერატურული სპექტაკლი.“

ნანა კვინიკაძე (მესამე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი): „გვეამაყება, რომ ქალბატონი იზა ჩვენი სკოლის აღზრდილია. ის მუდამ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავს თავისი მშობლიური სკოლისა და მასწავლებლების მიმართ. ამჯერად ქალბატონი იზას სიტყვიერების მასწავლებელსა და კლასის დამრიგებელს, მერი გიორგიძის, დიდი სურვილი ჰქონდა, რომ 14 ივლისს მთაწმინდაზე ხარაგაული ჩვეული სილამაზით წარმოჩენილიყო. ამ ცერემონიალში ჩავრთეთ ჩვენი სკოლის ჩოხოსანი ვაჟები და სასულიერო გიმნაზიის მგალობელთა გუნდი (რეგენტი თორნიკე ბაკურაძე). ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავთან მათ შეასრულეს „შავლეგო“ და საგალობელი. ასევე იგალობეს აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნოდარ დუმბაძის საფლავებთან და მამადავითის ეკლესიაში.“

გარკვეული პატრიოტული დატვირთვა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მერი მასწავლებელმა პანთეონში თავისუფლებისათვის შეწირული ცნობილი გენერლის, გიორგი მაზნიაშვილის, შთამომავლებს შეგვახვედრა. მერი მასწავლებლის ახლობელი, თეთრაწყაროელი თაიგულ გიორგიძე, გიორგი მაზნიაშვილის ოჯახის რძალია (გიორგი მაზნიაშვილის ქალიშვილის, ანა მაზნიაშვილის, მხრიდან). ქალბატონი თაიგულის შვილები და შვილიშვილები: თემურ და ლუკა დეგელიძეები, ღირსეულად აგრძელებენ 1937 წელს უსამართლოდ დახვრეტილი დიდი წინაპრის ნათელ ხსოვნას. ისინი ხარაგაულელ მოსწავლეებს დაუმეგობრდნენ, რაც ძალზე სასიხარულოა.

მერი მასწავლებელმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავთან წარმოთქმული მისთვის ჩვეული ლამაზი ქართულით, მადლობა გადაუხადა ჩოხოსანთა დასსა და მის ხელმძღვანელს პროფესორ გოგი დოლიძეს; პოეტის უმშვენიერესი სალექსო სტრიქონებით ხაზი გაუსვა ეროვნული გმირის თავდადებას ერისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის.

შემთხვევითი არ იყო, ჩოხოსანთა დასის ერთ-ერთმა წევრმა რომ კმაყოფილებით აღნიშნა: „გასაკვირი ნამდვილად აღარაა, როცა ასეთ მასწავლებელს იზა ვეფხვაძის მსგავსი მოსწავლე ჰყავს!“

ამ შთამბეჭდავი ღონისძიების მონაწილენი მადლობას უხდიან მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, რომლის თანადგომითაც განხორციელდა მათი ტრანსპორტირება.

ეკა შავიძე

6 თვის მონაცემებით სოციალურ პროგრამებზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 301 307 ლარი გახარჯა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 6 თვის მონაცემებით სოციალურ პროგრამებზე 301 307 ლარი გახარჯა.

აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის გამგეობამ 22 პროგრამის განსახორციელებლად გამოყო.

ჯამში მუნიციპალიტეტის გამგეობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით 1 542 ადამიანს დაეხმარა.

მათ შორის:

• სამედიცინო მომსახურეობისთვის 202 ბენეფიციარს გაეწია დახმარება 70 553 ლარით;

• მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაეწია 358 მოქალაქეს თანხით - 39 547 ლარი;

• C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად დახმარება გაეწია 8 მოქალაქეს თანხით- 1328 ლარი.

• სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 27 გარდაცვლილის ოჯახს თანხით 5 400 ლარი.

• ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება სატრანსპორტო ხარჯით - 9 000 ლარი.

• ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 173 მოქალაქეს თანხით - 39 700 ლარი.

• „ალილოს“ დღესასწაულთან დაკავშირებით 50 სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს გაეწია 1510 ლარის ღირებულების დახმარება საკვები პროდუქტების სახით. ასევე, ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით, 520 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტებით და პირველადი მოხმარების საგნებით გაეწიათ დახმარება დაბასა და ახლომდებარე სოფლებში უკიდურესად გაჭირვებულ 8 ოჯახს.

• საახალწლოდ 72 ოჯახს (უსინათლოები, დევნილები) გაეწია ფინანსური დახმარება 2 160 ლარის ოდენობით.

• 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ 2 მოქალაქეს - 600 ლ (თითოეულს 300 ლ).

• ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სამამულო ომის 17 ვეტერანს გადაერიცხა 3400 ლ (თითოეულს 200ლ).

• „დედის დღესთან“ დაკავშირებით 76 მრავალშვილიან (4 და მეტი) ოჯახს — 3 800 ლ.

• აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 237 (დევნილებს და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს (თითოეულს 30 ლარი) - 7 110 ლარი;

• საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი სახელმწიფო პროგრამაში, (თითოეულს 1000 ლ.) - 4 200 ლ.

• ომის ვეტერანებს, ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის –3 090 ლ.

• უსინათლოთა კავშირის წევრ მოქალაქეებზე ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის - 9 840 ლ.

• აუტიზმისა და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით 10 ბენეფიციარს გაეწია დახმარება (თითოეულს 100 ლარი) - 1 000 ლარის ოდენობით.

• ჩერნობილის ა/ე აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს (7 პიროვნება) გაეწია დახმარება 700 ლარის ოდენობით

• შშმ პირთა დასახმარებლად დაიხარჯა 6 245 ლარი.

• კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ელემენტის შესაძენად დახარჯულია 1654 ლარი.

• ახალშობილებილთა ოჯახების დახმარების პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 14750 ლარი (93 ახალშობილი).

• ომის ვეტერანისა და დევნილის დაკრძალვის ხარჯისთვის 6 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია დახმარება 1500 ლარის ოდენობით.

• სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 8 ოჯახს დაზიანების კატეგორიების მიხედვით გაეწია დახმარება 15000 ლარის ოდენობით (მათ შორის: 1-ლი კატეგორია, 7 ოჯახი, მე-2 კატეგორია- ხანძრის შედეგად დაზარალებული 1 ოჯახი).

• მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე გამგეობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა 4 800 ლარი და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უბედური შემთხვევის შედეგად განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობის მქონე 3 ბენეფიციარს გაეწია შესაბამისი დახმარება.

• სოციალური პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტში მოქმედებს ა(ა)იპ „სათნოების სახლი“, რომელიც კვირაში 6 დღე ემსახურება 70 ბენეფიარს და ექვს თვეში ამ მიმართულებით დახარჯულია 47 300 ლარი.

• ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებული დღის ცენტრისთვის შეძენილია 6600 ლარის ღირებულების ინვენტარი.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

რევაზ ლაღიძის საიუბილეო დღეები ხარაგაულიდან დაიწყო...

როცა გადაწყვეტ, დიდი მოქალაქისა და გენიალური კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის, ფასდაუდებელ შემოქმედებით სამყაროს შეეხო, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომელიც შენს ხელთ არსებული ყველა შესაბამისი ძალის მობილიზებას მოითხოვს...

ასეთი განცდა ჰქონდა ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლალი ალექსიძეს, როცა გადაწყვიტა, რომ დიდი კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის დაბადების 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებს სტარტი ხარაგაულიდან აეღო.

ვინც 8 ივლისს ხარაგაულის სამუსიკო სკოლის უმშვენიერეს დარბაზში ამ თარიღისადმი მიძღვნილ კონცერტს დაესწრო, ის უდიდეს სიამოვნებასთან ერთად დიდხანს იქნება შეპყრობილი სიამაყის გრძნობით, უპირველესად იმით, რომ რევაზ ლაღიძე თხემით ტერფამდე ქართველი და ქართული ღვთიური გენიის გამოვლინებაა და, მეორეც, რომ იმერეთის ამ პატარა კუთხეს, ხარაგაულს, ჰყავს ესოდენ ნიჭიერი თაობა სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა და აღზრდილთა სახით, თავის პროფესიაზე ორიენტირებული პედაგოგიური კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას ისეთი გულისხმიერი წინამძღოლი, როგორიც ქალბატონი ლალი ალექსიძეა.

ძალზე ნიჭიერად და მონაწილეთა მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებასთან მისადაგებული საღამო გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს, ირინე ჩხეიძეს, მიჰყავდა.

საღამო დაიწყო დიდი კომპოზიტორის ამაღლებული ცხოვრების ამსახველი ვიდეოკოლაჟით, რომლითაც მაყურებელთა თვალწინ გაიარა დიდი მამულიშვილის ამქვეყნიური ყოფის შთამბეჭდავმა ეპიზოდებმა...

ჩვეული კდემამოსილებით მიესალმა მოწვეულ სტუმრებსა და დამსწრე საზოგადოებას სამუსიკო სკოლის დირექტორი ქალბატონი ლალი ალექსიძე.

„გამორჩეულად ლამაზი დღეა ხარაგაულსა და ჩვენს სამუსიკო სკოლაში. დღეს ჩვენი მასპინძელი ყველასათვის საყვარელი კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის, შემოქმედებაა, მისი მონატრებაა, რომლის მცირე ნაწილიც აჟღერდება სიყვარულით სავსე ამ დარბაზში...

ქალბატონმა ლალი ალექსიძემ ფორტეპიანოზე ქუთისის საოპერო თეატრის კამერულ ორკესტრთან (დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი) ერთად შეასრულა რევაზ ლაღიძის ჰიმნად ქცეული უკვდავი „სიმღერა თბილისზე“, ხოლო როცა თამარ ჩიმაკაძემ, დარეჯან გვაძაბიამ, გიორგი მაქაძემ და გიორგი კვირიკაშვილმა კინოფილმ „საბუდარელი ჭაბუკიდან“ ცნობილი სიმღერა შეასრულეს, ქალბატონმა ირინემ აღნიშნა, რომ ბატონ რევაზს თურმე ძალიან უყვარდა ეს მელოდია და ხშირად სიამოვნებით იმეორებდა: „ ამაზე კარგები მე არაფერი დამიწერიაო“.

აბა რომელი ერთი ნოემბერი შეგიძლია გამოარჩიო, როცა სრულდებოდა „ახალგაზრდული ვალსი“ (მარიამ ხაჩიძე, პედაგოგი დარეჯან გვაძაბია), დუეტი კინოფილმიდან „განგაში“ (ანა მაჭავარიანი, პედაგოგი თამარ ჩიმაკაძე), პოპური კინოფილმიდან „ხევისბერი გოჩა“ (ანსამბლი კესო შარიქაძე, პედაგოგი დალი მერაბიშვილი), სიმღერა კინოფილმიდან „ყვავილი თოვლზე“ (მარიამ მანჯავიძე, პედაგოგი დარეჯან კაციტაძე), „ჰიმნი დედაენას“ სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდი და კულტურის ცენტრის ვაჟთა ანსამბლი, „აყვავილდა ნუში“ (სალომე მაჭავარიანი), „ბალადა ვაზზე“ („იმერეთის ხმა“ სალომე კვირიკაშვილი), „ჩიტი - გვრიტი მოფრინავდა“ (სამუსიკო სკოლის ვაჟთა გუნდი), სიმღერა კინოფილმიდან „ნინო“ (სალომე კვირიკაშვილი), „ჰიმნი ქუთაისს“ (ანა მაჭავარიანი), კომპოზიცია კინოფილმიდან „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, კომპოზიციამ ისეთი ემოცია გამოიწვია, რომ მსმენელმა მისი გამეორება მოითხოვა. „ჰერიო, ბიჭებო“ (სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდი), „განთიადი“ ოპერიდან „ლელა“ (სალომე კვირიკაშვილი), რონდო ტოკატა (ალექსანდრე ვასაძე), სიმფონიური სურათი „საჭიდაო“ (ხათუნა მაჭავარიანი, დალი მერაბიშვილი).

და ბოლოს „ჩემო კარგო ქვეყანავ“ (ყველა შემსრულებელი დარბაზთან ერთად).

სად შეიქმნა მელოდია ილია ჭავჭავაძის ლექსზე „ჩემო კარგო ქვეყანავ“

მსმენელთა დიდმა ნაწილმა სწორედ კონცერტზე შეიტყო, რომ ცნობილი მელოდია ილია ჭავჭავაძის ტექსტზე „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ხარაგაულში შეიქმნა.

ცნობილი ლოტბარის, ივანე (ბიჭიკო) აბაშიძის, ვაჟის, იური აბაშიძის, მოგონებიდან: „კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე მამაჩემის მეგობარი იყო და ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდა. მას ძალიან უყვარდა მდინარეზე თევზაობა. ერთხელ, საღამოთი ჩხერიმელაზე თევზაობიდან დაბრუნებულმა, გვიანამდე არ დაიძინა. მიუჯდა მაგიდას და ჩვენ გვესმოდა ფანქრის კაკუნი ფურცელზე. დილით კი უკვე მზად იყო ეს საოცარი მელოდია, რომელიც პირველად მე და მამაჩემმა წავიღიღინეთ კომპოზიტორთან ერთად.“

კობა ლურსმანაშვილი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი): „დღეს გამორჩეული დღეა ხარაგაულში, გამორჩეული სტუმრებითა და იმ უმშვენიერეს მუსიკალურ სამყაროსთან მიახლებით, რასაც დიდი კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის, საოცარი შემოქმედება ჰქვია. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ამ ჩანაფიქრის ორგანიზატორს, სამუსიკო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლალი ალექსიძეს, ყველა პედაგოგს, ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

გწამდეთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან არასდროს მოაკლდება ყურადღება შემოქმედ ადამიანებს, რომლებიც საქვეყნოდ გამოაჩენენ ჩვენს სამშობლოსა და ქართველობას.“

გივი ჭიჭინაძე (იმერეთის მხარის რწმუნებული - გუბერნატორი):

„ამაღელვებელი დღეა. შეუძლებელია, ამდენი ნიჭიერი ადამიანის ერთად ნახვისას, არ აღელდე.

ბატონი რევაზ ლაღიძე, რომლის დაბადების საიუბილეო თარიღსაც მიეძღვნა ეს ლამაზი საღამო, იყო არა მარტო გენიალური კომპოზიტორი, არამედ დიდი მოქალაქეც. მადლობა უფალს, რომ ქართველ ხალხს გვყავდა რევაზ ლაღიძე, მადლობა ხარაგაულს, სამუსიკო სკოლას, რომ ასეთი სასიამოვნო წუთები გვაჩუქეთ. რევაზ ლაღიძის ნებისმიერ ნაწარმოებთან შეხება სხვაგვარი ძალით გაყვარებს სამშობლოს და გაამაყებს, რომ ხარ ქართველი.“

კახა ცაბაძე — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე:

„ბედიერი ვარ, რომ ამ დიდი კომპოზიტორის ხელში გავიზარდე. ხშირად, როცა ბატონ რევაზსა და მის მეგობრებს ვაკვირდებოდი, მიმაჩნდა, რომ კომპოზიტორი იყო კარგი კაცი, რომელიც ხანდახან მუსიკასაც წერდა...

დიდი მადლობა ყველას ამ სიხარულის მონიჭებისათვის, ასეთი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის. ასეთი საღამოები აუცილებელია ჩვენთვის, რომ მთლად პოლიტიკაში არ გადავერთოთ. გვახსოვდეს, რისთვისაც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, იმისთვის უნდა ვიცხოვროთ ჩვენც.

იქნებ არც ისაა შემთხვევითი, რომ რევაზ ლაღიძე - ეს გვარ - სახელი სამუსიკო ბგერებისა და ქართველი კაცის საფიცარი ვაზის ღვთიური შერწყმაა...

აბა დააკვირდით: ლა- გვარის პირველი მარცვალი, მუსიკალური ბგერაა,ასევეა სახელის პირველი ნაწილი - რე, რომელთანაც შერწყმულია ქართველი კაცის უკვდავების სიმბოლო ვაზი.“

ნია ბახტაძე - მუსიკოსი: „დიდი შემოქმედებითი პათოსით აიღო სტარტი ხარაგაულიდან რევაზ ლაღიძის საიუბილეო დღეებმა. ჩვენ დიდი ემოციებით დატვირთულნი ვტოვებთ ხარაგაულს და ჩვენს ემოციას გადავცემთ ყველას, თუ რა ძლიერი სამუსიკო მუხტით დაიწყო ეს მნიშვნელოვანი თარიღი ხარაგაულიდან.“

წინსვლა და შემოქმედებითი წარმატება იყოს მარად ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის წინამძღოლის, აღსაზრდელებისა და პედაგოგების თანამგზავრი, რომ კვლავ დიდი ემოციების ტყვეობაში მოექცეს მსმენელი...

მერი გიორგიძე

2015-2016 წლის ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითთმართველობის კოდექსის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და ეკონომიკის ქონების, მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების მოთხოვნებს.

კომისიის შემადგენლობაში საკრებულოს 8 დეპუტატია, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები კომისიის მუშაობაში. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია რიგ შემთხვევაში აწარმოებს პროექტების განხილვას საკრებულოში არსებულ სხვა კომისიებთან ერთად. აგრეთვე საკითხებს განიხილავს ხარაგაულის გამგეობის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, კერძოდ, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის მიმართულებით დაგეგმილი ხარჯების ნაწილში. კომისიამ მართებულად მიიჩნია გაზრდილიყო თანხები ხიდ-ბოგირის შესაკეთებლად და ასაშენებლად, ასევე გაზრდილიყო თანხები სანიაღვრე არხების მოწყობისათვის, გზების მოვლა შენახვის (რეაბილიტაციის) გათვალისწინებული თანხების შემცირების ხარჯზე. შემდგომში აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კომისიის აღნიშნული მოთხოვნები ნაწილობრივ გაითვალისწინა. 2015 წლის ბოლოს კომისიამ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიასთან ერთად აწარმოა მონიტორინგი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძოდ (დაბაში) თუ როგორ, რა მიმართულებით მოიხმარა მოსახლეობამ მიღებული თანხა, რომელიც სტიქიით დაზარალებულ ბენეფიციარებზე იყო გაცემული და დადო შესაბამისი დასკვნა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ 2015 წლის თვეში საკრებულოს დავალებით, თავის უფლებამოსილების ფარგლებში შეამოწმა გამარტივებული წესით (ერთ პირთან მოლაპარაკების) გზით შესრულებული ხუთი ინფრასტრუქტურული პროექტი და დადო შესაბამისი დასკვნა. გვინდა აღვნიშნოთ, კომისიის აქტივობა მოსახლეობასთან შეხვედრების თაობაზე, კერძოდ: დაბაში და სოფლებში, კიცხში, ვარძიაში, წიფაში, ფონაში, ბაზალეთში და სხვა: მაცხოვრებლების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები კომისიის მიერ იქნა დამუშავებული აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად და შეირჩა პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთაგანაც ბევრი დასრულებულია, ზოგან მიმდინარეობს მშენებლობითი სამუშაოები, ხოლო ბევრ მათგანზე დასრულებულია საპროექტო სამუშაოები, რომელიც განხორციელდება ეტაპობრივად შესაბამისი თანხების მოძიების შემდგომ.

2016 წლის თებერვალში კომისიის სხდომაზე დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილ და განაწილებულ თანხებს.

კომისიამ 2016 წლის დასაწყისში შეისწავლა და მხარი დაუჭირა 2016 წელში რგფ-დან დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილ საპროექტო წინადადებების სიას. კომისია აქტიურად თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკისა და ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის, ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურებთან. კომისიის ჩართულობით დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა, აგრეთვე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ამორტიზირებული ტექნიკის აღრიცხვა და ჩამოწერა (ეს პროცესი ეხლაც მიმდინარეობს). აღნიშნული სამსახურების მუშაობის შეფასება კომისიის მიერ ხდება წლის ბოლოს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია ყოველი თვის ბოლოს სამუშაო გეგმის მიხედვით იწვევს კომისიის სხდომებს. გავდივართ გეგმით გაწერილ საკითხებს, ვიწვევთ მუნიციპალიტეტში არსებულ ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებს, განვიხილავთ მათ შესრულებულ სამუშაოს და ინფორმაციებს სამომავლო გეგმებზე, აგრეთვე ხდება განხილვადი მსჯელობა პრობლემებზე, წლის ბოლოს ხდება კომისიის მიერ მათი გაწეული სამუშაოს შეფასება. ხშირად შემოდის მოსახლეობის წერილობითი მოთხოვნები, რის საფუძველზეც კომისია წერილებს ეცნობა და პრობლემის აღმოსაფხვრელად რეკომენდაციებით გადასცემს შესაბამის სამსახურებს.

კომისია მიიჩნევს, რომ იყოს მეტი კორდინირება გამგეობის სამსახურებთან. ხშირად გადაწყვეტილების მიღება გვიწევს რიგ შემთხვევებში მოკლე დროში, რაც არაა მიზანშეწონილი.

ერთი წლის განმავლობაში კომისიას ჩატარებული აქვს 8 გეგმიურ და 11 რიგგარეშე სხდომა, სადაც ხმათა უმრავლესობით მოხდა დადებითი დასკვნის დადება, ხოლო ორ პროექტზე გაიცა უარყოფითი დასკვნა. კომისიის სხდომა ქვორუმის არ არსებობის გამო არ შედგა ორჯერ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია შესაბამისი ხელშეწყობის შემთხვევაში შედარებით შედეგიანად და ეფექტურად შეძლებს მუშაობის გაგრძელებას.

საკრებულო ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომრე
შალვა ლურსმანაშვილი

ინფორმაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 4210.1 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 3868.9 ათასი ლარის შემოსულობები, ექვსი თვის გეგმა-შესრულებულია 92,0 პროცენტით, წლიურის - 43,7 პროცენტით, (წლიური გეგმა 9231,6 ათასი ლარი) რაც გასული 2015 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 220.9 ათასი ლარით აღემატება (2015 წლის ექვს თვეში მიღებულია 3648.0 ათასი ლარის შემოსულობები)

მუნიციპალიტეტმა ექვსი თვის საკუთარი შემოსავლების გეგმა 132.7 პროცენტით შეასრულა (გეგმა 490.2 ათასი ლარი; ფაქტი 650.3 ათასი ლარი) გეგმის ზევით მობილიზებულია 160.1 ათასი ლარი, მათ შორის

- გადასახადებიდან მუნიციპალიტეტს გეგმიური 201.3 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული აქვს 290.0 ათასი ლარი, 144.1 % და გეგმის ზევით მობილიზებულია 88.7 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადში ზეგეგმიური თანხების მიღებით, - სხვა შემოსავლების გეგმა ექვს თვეში განისაზღვრა 270,9 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 346,7 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, 75,8 ათასი ლარით მეტი და გეგმის შესრულება შედგენს 128,0 % -ს აქედან, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის დაგეგმილი 28,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 18,4 ათასი ლარი, 65,7 %; მიწის იჯარიდან მიღებულ შემოსავალი დაგეგმილი 19,8 ათასი ლარიდან მიღებულია 10,4 ათასი ლარი, 52,5 %; დაგეგმილზე მეტი თანხებია მობილიზებული სანებართვო და დასუფთავების მოსაკრებლებში და 3,1 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 39,1 ათასი ლარი, გეგმის გადაჭარბებით შესრულება გამოწვეულია სანებართვო მოსაკრებლების, კერძოდ კი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელში დაუგეგმავი შემოსავლების მიღებით, რაც შეეხება ჯარიმებიდან მიღებულ შემოსავლებს, ექვს თვეში დაგეგმილი 220,0 ათასი ლარიდან მიღებულია 277,0 ათასი ლარი, ანუ 125,9 პროცენტი, სახაზინო მომსახურებაზე გადასვლის გამო ბანკიდან მისაღები პროცენტები არ დაგეგმილა, ფაქტურად მიღებული გვაქვს 1,8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 13,6 ათასი ლარი მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობების ხარჯზე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა ტრანსფერმა ექვს თვეში ფაქტიურად შეადგინა 2715,8 ათასი ლარი, აქედან:

გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 2646,8 ათას ლარი დაგეგმილი 3146,9 ათასი ლარის ნაცვლად, 84.1 პროცენტი. დააკლდა 500,1 ათასი ლარი.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 69,0 ათასი ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს მხოლოდ 502,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 19,2 %-ს შედადგენს, მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 373,2 ათასი ლარი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში 129,6 ათასი ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 4639,3 ათასი ლარი, ფაქტიურად კი გაწეულია 4223,3 ათასი ლარი, ექვსი თვის ხარჯები დაფინანსებულია 91,0 პროცენტით, ხოლო წლიური 43,7 პროცენტით. (ხარჯების წლიური გეგმა არის 9669,3 ათასი ლარი)

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 1162,8 ათასი ლარიდან გაწეულია 1124,8 ათასი ლარი, 96,7 პროცენტი. მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2016 წლის ექვს თვეში განსაზღვრული 274,5 ათასი ლარიდან გაწეულია 266,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,1 პროცენტით. მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 873,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 858,2 ათასი ლარი, 98,3 პროცენტით;

2016 წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტს სარეზერვო გამოყოფილი და ათვისებული იქნა 4,8 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად იქნა მიმართული სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებში..

თავდაცვის ხარჯების დასაფინასებლად დაგეგმილი 50,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 49,0 ათასი ლარი, 97,8 პროცენტი, ამასთან ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენებულია მიზნობრივი ტრანსფერი 43,5 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 5,5 ათასი ლარი დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2016 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 1296,6 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1134,4 ათასი ლარით, 87,5 პროცენტით.

აქედან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 597,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 495,9 ათასი ლარი, ე. ი. 83,0 პროცენტი;

მათ შორის გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა—შენახვის ხარჯები დაგეგმილი 568,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 486,7 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4.02. N 175 განკარგულებით, სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან დარჩენილი თანხებით (მ. შ. 2015 წლის 20.01. N 39; 2013 წლის 04.04. N 311 და 2015 წლის 24.11. N 2529 განკარგულებები) და საკუთარი სახსრებით.

ხარაგაული -ფარცხნალის გზის მოასფალტებაზე საქ. მთავრობის N 39 განკარგულებით დახარჯულია 222,2 ათ. ლარი; სტიქიით დაზიანებული გზების შესაკეთებლად N 2529 განკარგულებით 16,8 ათასი ლარი; ხარაგაული-ბაზალეთის გზაზე N 175 განკარგულებით 165,5 ათასი ლარი; სოფ. გედსამანის გზის რეაბილიტაცია სკოლამდე N 175 განკარგულებით 29,9 ათსი ლარი, გზის დამცავი კედლების მოწყობაზე (დაბა, ლეღვანი, საღანძილე) N 175 განკარგულებით 22,7 ათასი ლარი. ხარაგაული-ჯაფაროულის გზის მონაკვეთების ნაწილობრივი მოასფალტება 10,7 ათასი ლარი.

ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაცია N 39 განკარგულებით 11,9 ათასი ლარი.

საკუთარი სახსრებით დახარჯულია 7,0 ათასი ლარი;

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე ფაქტიურად შესრულდა 4,7 ათასი ლარის სამუშაო.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯებისათვის, კერძოდ მიკროავტობუსის მომსახურებისათვის (დაქირავება) 4,5 ათასი ლარი;

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა—რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 436,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 390,1 ათასი ლარი, ე.ი. 89,3 პროცენტი, აქედან დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსებასა და მაწანწალა ძაღლების იზოლაციაზე დაგეგმილი 276,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 267,2 ათასი ლარი, გარე განათების დაფინანსებაზე 112,8 ათასი ლარი მ. შ. 97,0 ათასი ლარი სუბსიდირებაზე და 15,8 ათასი ლარი ქსელის რეაბილიტაციაზე, რომელიც გაწეულია ა(ა)იპ ხარაგაულკეთილმოწყობის მიერ, ხოლო კომუნალური ობიექტების რეაბილიტაციაზე, რომელიც ძირითადად ასევე გარე განათების ქსელის მოწყობაზე დაიხარჯა მიმართულია 15,8 ათასი ლარი.

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად ექვს თვეში გამოყოფილი 123,7 ათასი ლარიდან 117,0 ათასი ლარი იქნა ათვისებული, 94,6 პროცენტი. აღნიშნულიდან 114,3 ათასი ლარი მოხმარდა პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას და 2.7 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდას.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 2016 წლის ექვს თვეში 134,4 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურად დაიხარჯა 131,4 ათასი ლარი ანუ 97,8 პროცენტი, თუმცა წლიური გეგმა მხოლოდ 18,9 % -თაა ათვისებული, იმის გამო რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში პირველად მიმდინარეობს სოფლის მხარდამჭერი პროგრამით შესასრულებელი სამუშაოების ტენდერების საშულებით შესყიდვა და სატენდერო წინადადებების მომზადებას გარკვეული დრო ჭირდება, დაყოვნდა აღნიშნული პროგრამით განსახორციელებელი პროექტები, ამ ეტაპზე ეს სამუშაოები დასრულებეულია, მიმდინარეობს ხელშეკრულებების ეტაპობრივად გაფორმება და შესაბამისი სამუშაოების წარმოება.

ფაქტიურად უკვე დაიხარჯა გასული წლის ნაშთიდან # 506 განკარგულებით გამოყოფილი 3,2 ათასი ლარი და 2016 წლის N 265 განკარგულებით 126,6 ათასი ლარი,

5) სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამაზე მიმდინარე წლის ექვს თვეში ხარჯები არ გაწეულა.

განათლებაზე 2016 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული 792,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 729,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 92,1 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 501,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 459,9 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდაზე 0,4 ათასი ლარი; სკოლა—ინტერნატის სუბსიდირებაზე დაგეგმილი 51,7 ათასი ლარიდან 51,1 ათასი ლარი; მოსწავლე—ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 60,3 ათასი ლარიდან 58,8 ათასი ლარი.

განათლების ობიექტების, კერძოდ ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციისათვის დაგეგმილი 178,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 159,3 ათასი ლარი, აქედან საქ. მთავრობის 2016 წლის 04.02. N 175 განკარგულებით დახარჯულია 155,1 ათასი ლარი, მათ შორის დაბის N 2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 56,1 ათასი ლარი, სოფ. ხევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 45,7 ათ. ლარი, ღორეშა-წიფა-მოლითის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე 53,3 ათასი ლარი. საკუთარი სახსრების თანადაფინანსებით დაგეგმილი 23,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 4,2 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 904,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 826,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 91,3 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე 318,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 312,1 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე 93,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 91,0 ათასი ლარი, მ.შ. გრანტის სახით ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში ჩარიცხულია 88,0 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 3,0 ათასი ლარი დახარჯულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად. სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 109,2 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 54,4 ათასი ლარი და საფეხბურთო კლუბ ,,ჩხერიმელა —2009“ —ის სუბსიდირებაზე 57,5 ათასი ლარი;

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 466,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 403,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,8 პროცენტით, აქედან:

სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 55,9 ათასი ლარი; ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 33,0 ათასი ლარი; კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 144. 8 ათასი ლარი; ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 100,8 ათასი ლარი; ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 43,9 ათასი ლარი; ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 25,2 ათასი ლარი; საგამომცემლო და საინფორმაციო მომსახურების სუბსიდირებაზე 32,4 ათასი ლარი;

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე ექვს თვეში დახარჯულია 8,3 ათასი ლარი;

რელიგიის დაფინანსებაზე გაწეულია 70,0 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 45,0 ათასი ლარი გადაერიცხა მარგვეთისა და უბისის ეპარქიას დაბა ხარაგაულში მშენებარე მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძრისათვის და 25,0 ათასი წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. გიმნაზიას.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ექვს თვეში დაგეგმილი 432,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 359,2 ათასი ლარი, 83 პროცენტი, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 52,4 ათასი ლარი, და სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი 378,7 ათასი ლარიდან 306,8 ათასი ლარი, მ. შ. უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 47,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 203,8 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 12,8 ათასი ლარი; ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში 1,5 ათასი ლარი და სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით 34,8 ათასი ლარი, აქედან გასული წლის სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან საქ. მთავრობის N 2529 განკარგულებით 19,8 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით 15,0 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის ექვს თვეში მოხდა 4223,1 ათასი ლარის გადასხდელების დაფინანსება, საიდანაც 704,9 ათასი ლარი მიმართული იქნა არაფინანსური აქტივების ზრდაზე, 9,9 ათასი ლარი მოხმარდა ვალდებულებების კლებას, ხოლო დარჩენილი 3353,4 ათასი ლარის ხარჯიდან:

- შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 822,4 ათასი ლარი, 24,5 %;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 63.6 ათასი ლარი, 1.9 %; მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 7.6 ათასი ლარი, 0,2 %; საოფისე ხარჯების გაწევაზე 81,8 ათასი ლარი, 2,4 %; წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 9.0 ათასი ლარი, 0,3 %; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 52.9 ათასი ლარი, 1,6 %; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 96.5 ათასი ლარი, 2.9 %;

- სუბსიდირებაზე 1859.4 ათასი ლარი, 53.6 %;

- გრანტებზე 88.0 ათასი ლარი, 2,6%;

- სოციალურ უზრუნველყოფაზე 237.6 ათასი ლარი, 7,1 %;

- სხვა ხარჯების დაფინანსებაზე 34.6 ათასი ლარი, 1.0 %.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:
ვლადიმერ გელაშვილი

როგორ ცხოვრობენ გედსამანიელები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი გედსამანია ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, პატარა, სტუმართმოყვარე იმერლებით დასახლებული დიდი წარსულისა და ტრადიციების მატარებელი სოფელია. იგი ძირულა - ჩხერიმელის წყალგამყოფის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე უხადურას ორივე ნაპირას, ზღვის დონიდან 720 მეტრზე, მდებარეობს. „გედ“ - გაეთრია, „სამან“ - საზღვარი, სწორედ ამ სიტყვებით ერეკებოდნენ ამ სოფლის მცხოვრებნი მოძალებულ მტერს; არის მეორე ვერსიაც, რომ სოფელს სახელად მშვენიერების გამო, ბიბლიური „გედსამანიის ბაღის“ ანალოგიც უწოდეს.

მდინარე უხადურას ორივე ნაპირზე გაშენებულ ულამაზეს სოფელს IX — XIIსს აგებული ორი უძველესი ეკლესია ამშვენებს, ტბეთის წმინდა გიორგისა და მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები. ტბეთიდან რამდენიმე კილომეტრში არის ორი უზარმაზარი ლოდი ძველი ქართული წარწერით, ამ ქვებს ხალხი „ქვათაქვას“ ეძახის. ქვაზე ასეთი წარწერაა: „ეს ქვები დავდეთ სამმა ძმამ, დიყით (მცენარე) ნაჭამმა, სცადონ, ჩამოიღონ ცხრა ძმამან მაგრად გამაძღარმა“. იმ სამი ძმისთვის სოფელს „ღონია ბიჭები“ შეურქმევია. წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის ირგვლივ სათოფურებიანი გალავნის ნანგრევებია შემორჩენილი. 1737 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია „გეთსამანიის საყდარი“. ვახუშტის მოხსენებული აქვს მონასტერი გეთსამანია „გუმბათიანი, კეთილშენი, საწინამძღვრო“. საყდრის ეზოში არის მიწისქვეშა გვირაბი, რომელიც დიდი საიდუმლოს არსებობას ადასტურებს. ვარაუდობენ, რომ აქ იყო სამარხი, ან თავშესაფარი ციხე, გვირაბის ბოლოს იყო კარი.

გედსამანია ეკონომიურად არც ისე ძლიერ სოფლად ითვლებოდა. ადგილობრივები ძირითადად მარცვლეულ კულტურას ეწეოდნენ.თუმცა მას შემდეგ, რაც სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა კენკროვანი კულტურის, ჟოლოს, გაშენება დაიწყო, მოსახლეობას დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდა და მათი ცხოვრება სრულიად შეიცვალა. აქ, ახლაც კარგად ახსოვთ, რომელმა გლეხმა გააშენა პირველად კენკროვანი კულტურა, რომელიც შემდგომში გედსამანიის სავიზიტო ბარათად იქცა. სოფელი, სადაც წლების წინ ჟოლოს ნერგს მხოლოდ რამდენიმე ოჯახში თუ შეხვდებოდით, დღეს ამ კულტურით ირჩენს თავს და სეზონიდან სეზონამდე „მალინის“ მოსავალს დიდი მოლოდინით ხვდება. ჟოლო დღეს გედსამანიელების შემოსავლის ძირითადი წყაროა.

სოფელ გედსამანიის მკვიდრი,სონა ლომიძე, რომელიც 83 წლისაა, იხსენებს, რომ ჟოლო პირველად 25 წლის წინ დარგო. ახლა 3 500 ძირი აქვს, რომელიც წლების განმავლობაში საკუთარი ხელით გაახარა და დღესაც თავდაუზოგავად შრომობს.

„თავდაპირველად სოფელში ორ ოჯახს ჰქონდა „მალინა“. მოჰყავდათ მოსავალი და ყიდნენ. შემდგომ, როცა მოსახლეობამ „მალინის“ შემოსავლიანობა გაიგო, ყველას გაუჩნდა გაშენების სურვილი,“- გვიყვება ქალბატონი სონა.

7 შვილის დედას, 15 შვილიშვილის და 16 შვილთაშვილის სონია ბებოს სოფელზე და შრომაზე საკუთარი შეხედულება აქვს და ამბობს, რომ ,,ადამიანმა უნდა იშრომოს და თავისი მარჯვენით მოყვანილი უნდა მიირთვას. იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო არ მეხმარება და მიჭირს, ჩემი აზრით, არაა სწორი. ვინც მუშაობს, იმას ეკონომიურად ნამდვილად არ უჭირს“- აღნიშნავს სონა ლომიძე.

გედსამანიაში „მალინის“ მოვლაში, დიდი და პატარა თანაბრადაა ჩართული. 13 წლის მერაბ რიკაძე, რომელიც სონა ბებიას ეხმარება, სოფელთან კავშირის გაწყვეტას არც მომავალში აპირებს.

„მშობლებსა და ბებიას ვეხმარები მალინის კრეფაში. როდესაც გავიზრდები ვაპირებ, რომ უფრო მეტი „მალინა“ გავაშენო და სოფელთან კავშირი მქონდეს“.

ტარიელ ბლიაძის აზრით, ჟოლოს მოსავალმა და შემოსავლიანობამ გედსამანიაში სიმინდისა და ვაზის კულტურასაც აჯობა. „მოსახლეობამ სიმინდის მოყვანას თავი დაანება და კერნკროვანი კულტურის მოვლა-პატრონობას შეუდგა. სოფელში თითოეული ოჯახი თითქმის მალინით ვირჩენთ თავს“- გვეუბნება ბატონი ტარიელი.

გედსამანიელი გოჩა კურტანიძე სეზონზე 3 ტონამდე „მალინას“ კრეფს. კენკროვან კულტურასთან ერთად შინა მეურნეობაში მეფუტკრეობასა და მეღორეობა-მესაქონლეობასაც მისდევს. მარწყვი, მოცვი, წაბლი, ეს ის კულტურებია, რომლითაც გედსამანიელები თავიანთ ოჯახებსაც ინახავენ და სოფელსაც აძლიერებენ.

გოჩა კურტანიძე: „სოფელს როცა ძალიან გაუჭირდა და შემოსავალი არ იყო, ჩვენმა მშობლებმა გადაწვიტეს ჟოლო მოეშენებინათ. ახლა ჩვენც მათ კვალს მივყვებით. შემოსავლიანია და ამიტომ ეკონომიურად გავძლიერდით. მოგეხენებათ ჟოლოს სასარგებლო თვისებები - მას მთელი საქართველო იყენებს წამლად. გედსამანიაში მეფუტკრეობა, მეღორეობა, მესაქონლეობაცაა განვითრებული. ძირითადი შემოსავლის წყარო კი „მალინა“ და ფუტკარია. ასევე მთიდან მოგვაქვს მოცვი, რომელსაც ბაზარზე ვყიდით. ვფიქრობთ, მოცვი მთიდან ჩამოვიტანოთ და ნაკვეთებში გავაშენოთ. სოფელში ვაზი ნაკლებად ხარობს ნამყენი ჯიშები დამწიფებას ვერ ასწრებს, ძირითადად შავი და თეთრი ადესა გვაქვს. სიმინდიც ცოტა მოგვყავს, იმდენი, რომ ოჯახისათვის გამოვიყენოთ. მთელ საქართველოს ვურჩევ, სადაც შესაძლებელი იქნება, ჟოლო გააშენონ.“

გედსამანია დღეს ერთ-ერთი ძლიერი და გამორჩეული სოფელია. სოფლის სიძლიერის ნიშანი მალე ახალი გზა გახდება. ახლად რეაბილიტირებული გზა სოფელს ახალ სიცოცხლეს შესძენს, ნაწილობრივ მიგრაციასაც შეაჩერებს და გედსამანიელების ეკონომიურ სიძლიერეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

„სოფელში ცენტრალური გზის მობეტონებითი სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის განსახორციელებლად საკმაოდ დიდი შრომა გაწია მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო. გედსამანიაში ასეთი გზა არასდროს ყოფილა და მოსახლეობა ძალიან გახარებულია. გზაზე 16 სმ. სისქის და 3მ. ნახევარი სიგანის ბეტონის საფარი დაიგება.“-ამბობს ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი ლენა აბაშიძე.

გედსამანიას აქვს საბაზო სკოლაც, რომელიც 105 წლისაა. სოფლის ცენტრალური გზის პირას მოწყობილია აფხაზეთის ომში დაკარგული გმირის გოჩა ჩადუნელის მემორიალი, რომელიც ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატის ლენა აბაშიძის და გამგებლის წარმომადგენელის ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში კახა ლომიძის ინიციატივით გაკეთდა. აქ მცხოვრებლები უყურადღებოდ არასოდეს ტოვებენ აფხაზეთსა და ოსეთში ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირებთა სულებს.

აი ასეთები არიან გედსამანიელები. აქ არც ტრადიციებს ივიწყებენ და განვითარებისთვისაც ახალ-ახალ შესაძლებლობებს ეძებენ.

ეკა შავიძე

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მშობლებისათვის ტრენინგი ჩატარდა

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში (უფროსი დავით კიკნაძე) განსაკუთრებული საჭიროების პირთა მშობლებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციამ „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ უფასო ტრენინგი მოაწყო. ტრენინგი ოჯახისა და თემის სერვისების კოორდინატორ დიანა ჯანაშიასა და ფსიქოლოგ ნინო მიქაიას ორგანიზებით ჩატარდა და მისი ძირითადი ამოცანაა გსმ მქონე პირთა ოჯახებისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა და განათლების მხარდაჭერა გახლდათ. შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამსწრე საზოგადოებას მათთვის მნიშვნელოვან თემებზე ამომწურავი პასუხები გაეცა.

„მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ 2008 წელს დაარსდა და მისი მიზანია, გაუწიოს მომსახურება, რესურსები და ტექნიკური დახმარება საქართველოში მყოფ მოწყვლად ჯგუფებს მათი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. მაკლეინის ასოციაციის ფსიქოლოგები აფასებენ ბავშვების შემეცნებითი, აკადემიური და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარებს, ასევე, ქცევისა და ემოციური სფეროს პრობლემებს. რეკომენდაცია ითვლისწინებს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მუშაობის სტრატეგიებს მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე დაყრდნობით. შეფასების ფორმა ეგზავნებათ მშობლებს და ბავშვთან მომუშავე პირებს.

ორგანიზაციაში მოქმდებს ცხელი ხაზიც. მათ ვისაც სურთ, მიიღონ მეტი ინფორმაცია ან რჩევა შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებზე, შეუძლიათ დარეკონ ტელეფონის ნომერზე - 0801200202. ზარი უფასოა.

ეკა შავიძე

პროექტი „ინტერნეტი და კომპიუტერი ყველა სოფელს“ - გრძელდება

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პროექტი „ინტერნეტი და კომპიუტერი ყველა სოფელს“ გრძელდება. პროექტის ფარგლებში, კომპიუტერები გადაეცათ ლეღვნის, ვერტყვიჭალის, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკებსა და პატარა ხარაგაულის ბიბლიოთეკის განყოფილებას.

პროექტი „ინტერნეტი და კომპიუტერი ყველა სოფელს“ საქართველოს პრეზიდენტის ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „აირექსის“ მიერ ფინანსდება.

საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენელმა, უჩა ჯიბღაშვილმა, ხარაგაულის ბიბლიოთეკებისთვის კომპიუტერები პირადად ჩამოიტანა და მათი სამუშაო რეჟიმში გამართვაც უზრუნველყო.

უჩა ჯიბღაშვილის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში მოხდება ასევე სოფლის ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციაც.

მნიშვნელოვანია,რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს კადრების გადამზადება, რის შემდეგაც სოფლის ბიბლიოთეკებს კომპიუტერული უნარ-ჩვევებისა და თანამედროვე სისტემების დანერგვაში გამოცდილი სპეციალისტები ეყოლება.

მინი ფეხბურთში გამარჯვებული გამგეობის გუნდი გახდა

ხარაგაულის ორგანიზაციებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი დასრულდა. თამაშები ჯგუფური პრინციპით მიმდინარეობდა და ფინალში ერთმანეთს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ტურიზმის ცენტრის გუნდები დაუპირისპირდნენ. ანგარიში გამგეობის გუნდის გამარჯვებით 5:3 დასრულდა. საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს თასები და სიგელები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებმა: პაატა გოგოლაძემ, დავით დევდარიანმა და ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა დავით გელაშვილმა გადასცეს.

ფინალურ შეხვედრას ხარაგაულის სპორტულ დარბაზში მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ბაქარ ბარბაქაძე დასახელდა, რომელსაც ფასიანი საჩუქარი გადაეცა. მინი ფეხბურთის ჩემპიონატი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა და მასში მონაწილეობას შემდეგი გუნდები იღებდნენ: მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ხარაგაულკეთილმოწყობა“, „ტურიზმის ცენტრი“, „ხარაგაულდასუფთავება“, „სპორტის განვითარების ცენტრი“, „კულტურის ცენტრი“ და „სამაშველო სამსახური”.

ხარაგაულელი სპორტსმენების მორიგი წარმატება

10 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა აჭარის თასის გათამაშება კუნგ - ფუ სანდაში (მწვრთნელი ზვიად კურტანიძე), სადაც წარმატებით იასპარეზეს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ ნორჩმა აღსაზრდელებმა. ჩემპიონები გახდნენ: რატი დევდარიანი, პავლე ხომასურიძე, გაგა გელაშვილი, გიორგი იოსებაშვილი, გაგო ფურცელაძე და გიორგი მაღრაძე. გიორგი მაღრაძეს ასევე გადაეცა თასი ყველაზე კარგი ორთაბრძოლისათვის.

* * *

8-10 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა შავი ზღვის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. წარმატებით იასპარეზეს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ მოჭიდავეებმა. გათამაშების ჩემპიონი გახდა ევსემ შველიძე. მანვე დაიმსახურა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი. II ადგილზე გავიდა დავით გელაშვილი, IV ადგილზე შოთა თაბაგარი (მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი).

ხალხური შემოქმედების სახლის ფოლკლორულ-ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა წლის შემაჯამებელი სოლო კონცერტი გამართა

ხალხური შემოქმედების სახლის ფოლკლორულ-ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა წლის შემაჯამებელი სოლო კონცერტი გამართა. კონცერტზე 11 ქართული ხალხური სიმღერა და 14 ქორეოგრაფიული ნომერი შესრულდა. აღსანიშნავია, რომ 10 სიმღერიდან 9 სრულიად ახალი გახლდათ. ახალი და განსხვავებული რეპერტუარი წარუდგინა საზოგადოებას ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საუნჯემ“ , რომელიც უკვე 6 წელია ფუნქციონირებს. ქორეოგრაფი რომან ბუაჩიძე ამჯერად ანსამბლის მეოთხე თაობასთან მუშაობს. მაყურებელთა განსაკუთრებული ოვაციები ხვდა წილად ცეკვას „უკრაინული“, „კინტაური“, „ოსური“, „სამაია“, „ჯეირანი“, „ფარცა“, „მთიულური“. რომან ბუაჩიძე მომავალი წლიდან ანსამბლის რეპერტუარის სხვადასხვა ეროვნული ცეკვით გამდიდრებას ფიქრობს.

„ხალხური შემოქმედების სახლი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვები სწორად აღიზარდონ და ნამდვილ ქართველებად ჩამოყალიბდნენ. მინდა ასეთი შრომისა და ღვაწლისათვის მადლობა გადავუხადო ჩვენს ლოტბარს მაია მაღრაძეს და ქორეოგრაფ რომან ბუაჩიძეს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ცეკვა და სიმღერა, რომელიც საუკუნეებია მოგვყვება და ჩვენამდე მოვიდა, გაგრძელდეს და ბავშვები ნამდვილი ქართული სულიერების მატარებელ ადამინებად აღიზარდონ. მინდა, ასევე ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო მშობლებს, რომლებიც მუდამ ჩვენ გვერდით არიან. ვფიქრობ, რომ ასეთი თანადგომითა და მხარდაჭერით ხალხური შემოქმედების სახლი მომავალშიც არაერთხელ იტყვის თავის სიტყვას“ - ამბობს ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი დალი მაღრაძე.

ხალხური შემოქმედების სახლში ფუნქციონირებს ასევე ზეპირსიტყვიერების (ხელმძღვანელი თამარ ავალიშვილი), ხელნაკეთი ნივთების დამზადების (ხელმძღვანელი ინგა ლურსმანაშვილი) წრეები.

ხალხური შემოქმედების სახლი ახალ ნაკადს მომავალ სასწავლო წელს ელოდება.

თამარ მაღრაძე

ჯიცხის საბავშვო ბაღი „მხიარული სტარტების“ გამარჯვებულია

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებებში საბავშვო პროექტი ,,მხიარული სტარტები“ ჩატარდა. პროექტის იდეა ხარაგაულის ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს, ირმა სებისკვერაძეს, ეკუთვნის. პროექტში საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ერთმანეთს სხვადასხვა სპორტული სახის დაბრკოლებების გადალახვაში ეჯიბრებოდნენ.

ხარაგაულში „მხიარული სტარტები“ ზონალურად მიმდინარეობდა. პირველი ტური ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დარბაზში ჩატარდა და მონაწილეობას ხუნევის, ვერტყვიჭალის, ბორითის საბავშვო ბაღის გუნდები იღებდნენ. პროექტის ფარგლებში ზონალური შეხვედრები გაიმართა ასევე კიცხის, ლეღვნისა და მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულებში. რაც შეეხება დაბას, „მხიარულ სტარტებში“ N1 საბავშვო ბაღის 4 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ერთმანეთს 5-6 წლიანთა ორი გუნდი დაუპირისპირდა - „ბომბორა“ (პედაგოგები: მაია დევადრიანი, ეკა ტაბატაძე, ლენა ხომასურიძე) და „ნერგები“ (ია თაბუკაშვილი, ეკა შარიქაძე, ია შარიქაძე). თამაში საბოლოოდ თანაბარი ანგარიშით დასრულდა. მხიარული სტარტების“ მონაწილე იყო ასევე 4-5 წლიანთა ორი გუნდი ,,ონავრები“ (თამუნა ლურსმანშვილი, თამუნა ოსანაძე, თინიკო კაკოიშვილი) და „ნაპერწკლები“(პედაგოგები თამარ სარალიძე, ირმა ყანჩაველი, ნანუკა ბარბაქაძე). საბოლოოდ გუნდებს შორის შეხვედრა თანაბარი ანგარიშით დამთავრდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს შორის „მხიარული სტარტების“ ფინალური შეხვედრა 13 ივლისს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში შედგა. ფინალში ერთმანეთს კიცხის, ხუნევისა და ვახანის საბავშვო ბაღები შეხვდნენ. „მხიარული სტარტების“ გამარჯვებული კიცხის საბავშვო ბაღი გახდა. ფინალისტებს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

,,მხიარული სტარტების“ თამაშებში ბავშვები ასაკისა და მათი ფიზიკური შესაძლებლობების შესაბამისად შეირჩნენ. ეს პროექტი ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას უწყობს ხელს. გამოუმუშავდებათ მოძრაობითი უნარები: სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა და კოორდინაცია“, - აღნიშნა ჩვენთას საუბარში ირმა სებისკვერაძემ.

ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებებში 2016 სასწავლო წელი ახალი პროექტებით გამოირჩეოდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ,,ღია მეცადინეობების კვირეული“. კვირეულში ჩართული იყვნენ როგორც საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგები, ასევე აღმზრდელის თანამშემწეები. ღია მეცადინეობების კვირეულის დანიშნულება თემის უფრო ახლოს შესწავლა, განხილვა, მასწავლებლის მუშაობის შეფასება გახლდათ. კვირეულში სააღმზრდელო პროგრამის ყველა თემა იყო ჩართული. თემები აღმზრდელებმა და ბაღის გამგეებმა აირჩიეს. როდესაც პროექტი დამთავრდა, მოხდა მისი განხილვა. საბოლოოდ სასწავლო -სააღმზრდელო პროგრამის წლიური მუშაობა დადებითად შეფასდა.

თეა ბერიძე
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12